



Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში

პროფესიონალიზმი
Professionalism

სამოქალაქო
პასუხისმგებლობა
Civic Responsibility

**ხარისხის სტანდარტების სახელმძღვანელო
პრინციპები
ქართული ანალიტიკური ორგანიზაციებისთვის**

დოკუმენტი მომზადდა პროგრამის „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში“ (G-PAC) - ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ და ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWWMI).

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან EWWMI-ს შეხედულებებს.

ხარისხის სტანდარტების სახელმძღვანელო პრინციპები

ქართული ანალიტიკური ორგანიზაციებისთვის

მიზანი

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სტანდარტების კრებულს, რომელიც ქართულ ანალიტიკურ ორგანიზაციებს თავიანთ საქმიანობაში გაუძღვება. მისი მიზანია ჩამოაყალიბოს უპირატესი პრინციპები და უზრუნველყოს ანალიტიკური ორგანიზაციების მიერ უმაღლესი პროფესიული სტანდარტების დაცვა.

აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამა“ (G-PAC) დაეხმარა 11 ქართულ ანალიტიკურ ორგანიზაციას ამ სტანდარტების შემუშავებაში. სტანდარტები ეფუძნება აშშ-ში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ მსგავსი სახის დოკუმენტებს. წინამდებარე სახელმძღვანელოს პრინციპების სამუშაო ვერსიას ასევე გაეცნენ არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის ექსპერტები და თავიანთი მოსაზრებები დააფიქსირეს. ხანგრძლივი დისკუსიის შედეგად და საჯარო პოლიტიკის კვლევის სფეროში საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, ქართული ანალიტიკური ორგანიზაციები საბოლოოდ ერთობლივად შეჯერდნენ წინამდებარე სტანდარტებზე.

ხარისხის სტანდარტები

I. მაღალი ხარისხის კვლევა. ქართული ანალიტიკური ორგანიზაციები უნდა მიიღებოდნენ გაავრცელონ მაღალხარისხიანი პროდუქტი, იმისთვის რომ ხელი შეუწყონ ფაქტებსა და მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას. კვლევითი პროცესი უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

- მაქსიმალურ მიუკერძოებლობას, სამეცნიერო საქმიანობის ზოგადი პრინციპებისა და მიდგომების დაცვას;
- სიზუსტესა და გამჭვირვალობას კვლევის დაგეგმვისა და მეთოდოლოგიის შერჩევისას;
- მხოლოდ უმაღლესი ხარისხის სარწმუნო მონაცემებისა და ფართოდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის გამოყენებას;

- სტატისტიკურად დამუშავებული მონაცემების გამოყენებას, მათი არსებობის შემთხვევაში, და არა ცალკეული შემთხვევებისა და საპილოტე მაგალითების განზოგადებას;
- სტატისტიკურად სარწმუნო მონაცემების გამოყენებას, რომლის სისწორეც სხვა კვლევებითაც დასტურდება და შეესაბამება საკვლევ სფეროს;
- ზუსტი და სანდო მონაცემების შერჩევას;
- საჭიროების შემთხვევაში, ფიზიკური პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას;
- კვლევის მიმდინარეობის პროცესში სადისკუსიო შეხვედრების მოწყობას დაინტერესებული მხარეებისა და მსგავსი ტიპის ორგანიზაციების მონაწილეობით, რათა მათ შესაძლებლობა მიეცეთ წვლილი შეიტანონ კვლევის შედეგებში, დასკვნებსა და რეკომენდაციებში;
- მიზანსწრაფულობას შეავსონ და გააუმჯობესონ საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ საკითხზე არსებული ცოდნა;
- თუკი გამართლებულია, კრეატიულ და ნოვატორულ მიდგომებს კვლევისას;
- კვლევის ეთიკის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დაცვას, მათ შორის კვლევის სუბიექტებთან მიმართებაშიც.

2. მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზი და დასკვნა. პოლიტიკის ანალიზი, დასკვნა და რეკომენდაციები უნდა დაეფუძნოს კონკრეტულ მონაცემებს. რაც უფრო ძლიერი და ლოგიკურია კავშირი მონაცემებს, კვლევასა და რეკომენდაციებს შორის, მით უფრო დამაჯერებელი იქნება ანალიზი საზოგადოებისთვის და პოლიტიკის შემქმნელებისთვის. უფრო კონკრეტულად, მტკიცებულებას მივყავართ დასკვნამდე, და არა პირიქით.

3. მრავალ კომპონენტზე დაფუძნებული მიდგომა. საჯარო პოლიტიკის კვლევა უნდა ითვალისწინებდეს არსებული და შემოთავაზებული პოლიტიკის ზეგავლენას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებზე და ასევე, სადაც შესაძლებელია, საჯარო პოლიტიკის სხვა სფეროებზე. მაგალითად, როდესაც საკვლევი თემა ამას მოითხოვს, ანალიტიკურმა ორგანიზაციებმა უნდა შეისწავლონ საჯარო პოლიტიკის გავლენა საქართველოს ყველა რეგიონზე, შეაფასონ ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკური კურსის კონტექსტი, სხვადასხვა სექტორების ურთიერთკავშირი და მათი გავლენა

ერთმანეთზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების გათვალისწინება და შესაძლო შედეგების გათვლა.

4. პრაქტიკული დასკვნები და რეკომენდაციები. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო, როდესაც მათი პრაქტიკაში გამოყენებაა შესაძლებელი და ესადაგება არსებული რეალობას. ამდენად, ქართული ანალიტიკური ორგანიზაციები უნდა შეეცადონ, რომ მათ მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები იყოს:

- ნათლად და ამომწურავად ჩამოყალიბებული;
- რეალისტური, განხორციელებადი და არსებული რეალობის შესაბამისი, სადაც ასევე ნათლად იქნება ახსნილი, თუ როგორ ესადაგება თითოეული ეს სამი პირობა ერთმანეთს;
- ორიენტირებული როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი შედეგების მიღწევაზე;
- ითვალისწინებდეს არსებული სახელმწიფო რესურსების შეზღუდულობას: მაგალითად, არასაკმარის სახელმწიფო სახსრებს, გავლენას საზოგადოებრივ სიკეთეებზე, მომსახურებაზე, ადამიანის უფლებებზე, სოციალურ თანასწორობაზე. ასევე, რეკომენდაციები წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს არსებულ კანონმდებლობასთან.

5. კვლევის მიზნობრიობა. საჯარო პოლიტიკის ანალიზი და შემუშავებული რეკომენდაციები მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტიანი, თუ ის მიტანილი იქნება მიზნობრივ აუდიტორიამდე და გასაგები იქნება როგორც პოლიტიკის შემქმნელების, ისე დაინტერესებული მხარებისათვის. ამისათვის, კვლევებისა და რეკომენდაციების წარდგენა უნდა მოხდეს ისეთი ფორმატით, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული სამიზნე ჯგუფის სპეციფიკას. ქართული ანალიტიკური ორგანიზაციები მიაღწევენ უკეთეს შედეგებს და ხმას მიაწვდენენ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებს თუკი:

- მოამზადებენ ერთიდაიგივე კვლევის რამდენიმე ვარიანტს მიზნობრივი ჯგუფების სპეციფიკის გათვალისწინებით (მაგალითად, საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების (policy papers) ვრცელი ვერსიის შემუშავება, გამარტივებული ვარიანტის შექმნა ფართო საზოგადოებისათვის და საჯარო პოლიტიკის ნარკვევების წარმოება (policy briefs));

- მოამზადებენ მიზნობრივ კვლევით ნაშრომებს საჯარო პოლიტიკის კონკრეტული სფეროს პოლიტიკის შემქმნელებისათვის;
- კვლევებისა და რეკომენდაციების წარსადგენად გამოიყენებენ სხვადასხვა საშუალებებს (მაგალითად, ბეჭდვითი და ელექტრონული პუბლიკაციები, პირისპირ შეხვედრები, მრგვალი მაგიდები, პრეზენტაციები და ა.შ.)

6. გასაგები ენით წერა, ლოგიკური არგუმენტაცია და პრეზენტაცია. კვლევითი ნაშრომები უნდა დაიწეროს გასაგები ენით, სადაც დაცული იქნება აკადემიური სტილი, სტრუქტურა და ნეიტრალური ტონი. მნიშვნელოვანია სწორი ფორმატის შერჩევა, რათა გაიზარდოს მისი ხელმისაწვდომობა და საბოლოო შედეგების მიღწევადობა. ანალიტიკური ნაშრომი მკაფიოდ უნდა აღწერდეს:

- საჯარო პოლიტიკის გამოწვებისა და კვლევის მიზნებს;
- კვლევის მეთოდოლოგიას;
- მტკიცებულებებს;
- მონაცემთა ანალიზსა და დასკვნებს;
- პოლიტიკის შესაძლო ვარიანტებსა და რეკომენდაციებს.

7. მრავალმხრივი კომუნიკაცია და ადვოკატირების სტრატეგია. საჯარო პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად, ანალიტიკური ორგანიზაციების საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და ადვოკატირების კამპანია ფართო აუდიტორიაზე და მდგრადი შედეგების მიღწევაზე უნდა იყოს მიმართული, რაც მოიცავს:

- როგორც გრძელვადიან (ორგანიზაციის მისიაზე ორიენტირებულ), ისე მოკლევადიან (პროექტზე ორიენტირებულ) ნაბიჯებს;
- ახალი მედიის შესაძლებლობების გამოყენებას, რათა გაფართოვდეს კომუნიკაციის არეალი ყველა დაინტერესებულ მხარესთან;
- კამპანიების დაგეგმვას ამა თუ იმ კვლევითი პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც დაკავშირებული იქნება ორგანიზაციულ მისიასთან/მიზნებთან და სადაც ნათლად

იქნება აღწერილი, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს არსებული პოლიტიკა;

- პუბლიკაციების გამოცემა, პრეზენტაციებისა და შეხვედრების ორგანიზება მნიშვნელოვანი პოლიტიკურ მოვლენის შესატყვისად.

8. მიღწეული შედეგების საფუძვლიანი და რეგულარული შეფასება.

რეგულარულად უნდა შეფასდეს ორგანიზაციის მიერ მიღწეული შედეგები, როგორც კონკრეტული პროექტის ფარგლებში, ასევე ორგანიზაციის ზოგად მისიასთან მიმართებაში. მომავალში, ეს შეფასებები სხვა პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვისას უნდა იქნას გათვალისწინებული.

9. დოკუმენტების შენახვა.

ყველა დოკუმენტი და მონაცემი, რომლებიც დაკავშირებულია კვლევასთან, უნდა იყოს შენახული და ხელმისაწვდომი არანაკლებ 10 წლის განმავლობაში.

10. ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფა.

ორგანიზაციული მდგრადობის მისაღწევად აუცილებელია კვლევითი ორგანიზაცია მუშაობდეს ინსტიტუციურ განვითარებასა და მაღალი ხარისხის კვლევების წარმოებაზე გრძელვადიან პერიოდში. ეს გულისხმობს ორიენტირებას არა მხოლოდ მოკლვადიან პროექტებზე, არამედ გარკვეული ღონისძიებების გატარებას გრძელვადიანი წარმატებისათვის. ამისათვის აუცილებელია:

- გრძელვადიანი გეგმისა და ხედვას შემუშავება, რომელიც ესადაგება ორგანიზაციის მიზნებსა და მისიას;
- კვლევების, აქტივობებისა და დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება;
- საერთაშორისო დონორების გარდა, სხვა ალტერნატიული დაფინანსების წყაროების მოძიება და სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა.

ლიტერატურა

ამ დოკუმენტში გამოყენებული სტანდარტები შემუშავებულია საქართველოსთვის, ანალიტიკური ორგანიზაციების საერთაშორისო აკადემიური და პროფესიონალური წყაროს გამოყენებით. ეს წყაროებია:

Buldioski, G. (2007). Think instead of tanks. *Turkish Policy Quarterly* 6(3), Fall 2007. Retrieved from <http://www.turkishpolicy.com/article/322/think-instead-of-tanks>.

Buldioski, G. (2010). *Think tanks in Central and Eastern Europe and the quality of their policy research*. Central European University (MA Thesis). Retrieved from www.etd.ceu.hu/2010/buldioski_goran.pdf.

Chafuen, A. A. (2002). *Holding think tanks to high standards*. Atlas Investor Report (donor newsletter), Summer 2002.

McGann, J. G. (2012). *The global go to think tanks report 2011: The leading public policy research organizations in the world*. Think Tanks and Civil Societies Program, University of Pennsylvania, Philadelphia, USA.

Policy Association for an Open Society. (2011). *How to win respect and influence policymakers: Principles for effective quality controls in the work of independent think-tanks*. Author, Prague.

RAND Corporation. (2010). *Standards for High-Quality Research and Analysis*. Author, Santa Monica, CA. Retrieved from http://www.rand.org/standards/standards_high.html.

World Association of Non-Governmental Organizations (WANGO). (2004). *Code of ethics and conduct for NGOs*. Author, Tarrytown, NY. Retrieved from <http://www.wango.org/codeofethics.aspx>

ასევე, ამ სტანდარტების შედგენისას გათვალისწინებულ იქნა არიზონას უნივერსიტეტის აშშ-ის პოლიტიკის მკვლევარი ექსპერტების რობერტ მელნიკისა და სტეფან ბატალდენის შეხედულებები. რობერტ მელნიკი არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული გლობალური მდგრადი განვითარების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორია. მას კვლევასა და მენეჯმენტზე მუშაობის 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს ისეთ პრესტიჟულ აშშ-ის ანალიტიკურ ორგანიზაციებში როგორცაა საჯარო პოლიტიკის მორისონის ინსტიტუტი და ჰადსონის ინსტიტუტი. სტეფან ბატალდენი არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მელიკიანის ცენტრის დირექტორია, რომელიც კვლევით და განვითარებად პროექტებს რუსეთსა, ევრაზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში ახორციელებს.

ორგანიზაცია	სახელი, გვარი	ხელმოწერა